პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

☐ სამშაბათი 26 სექტემბერი 1978 წ. ☐ № 226 (17270) ☐ ფასი 2 კაპ.

ქართული ვაზის ბარაქა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: რთველი გურჯაანის მევენახეობის ხაბჭოთა მეურნეობაში. ჩინებული მოსავალი მოიწია გაპირიფარებულ ნაკვეთზე გამოცდილმა მევენახემ ივანე ელიზბარაშვილმა.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

512 ათასი ტონა ყურძნისათვის!

მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ დაკვამთავროთ რთველი

გურჯაანში გაიმართა თათბირი, რომელზეც ყოველმხრივ განიხილეს 1978 წლის ყურძნის მოსავლის დროული აღების, გადაზიდვისა და გადამუშავების უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი.

თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონების პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რესპუბლიკის ხალხის მინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მევენახეებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებს და ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავს, ვალდებულება აიღეს ქვეყანას მისცეს 512 ათასი ტონა ყურძენი.

კარგად გაისარჯნენ კახელი მევენახეები, რომლებმაც სეტყვისა და გვალვის მიუხედავად რეკორდული მოსავალი მოიწიეს, ახლა კი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოკლე ვადაში დაამთავრონ რთველი, არ დაკარგონ არც ერთი კილოგრამი ყურძენი. ორგანიზებულად დაიწყეს რთველი გურჯაანის, თელავის, ყვარლისა და კახეთის სხვა რაიონების მეურნეობებმა. უხვ მოსავალს იღებენ ვეჯინის საბჭოთა მეურნეობაში — 120 ცენტნერს. სოფელ ველისციხის კოლმეურნეობაში — 95 ცენტნერს და სხვა მეურნეობებში. კახეთის რაიონებში ყოველდღიურად იკრიფება 10 ათას ტონაზე ცოტა მეტი ყურძენი, შუა რთველში კი იგი 30-35 ათას ტონას უნდა შეადგენდეს. გეგმის მიხედვით აქ დასახულია დამზადდეს 309,2 ათასი ტონა ყურძენი. მაგრამ, წინასწარი გაანგარიშებით, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზრდება.

თათბირზე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ დაჩქარდეს ყურძნის კრეფის ტემპი, სრულდა დატვირთვით გამოიყენონ ავტოტრანსპორტი; რაიონების მეურნეობებში დასახულია რთველის დამთავრების კონკრეტული ვადები. არ უნდა დაგვიგვიანდეს, ხაზგასმით აღნიშნეს გამოსულებმა, რომ ოქტომბერში, როგორც ხინოკაცოსები იუწყებიან, აცივებაა მოსალოდნელი. უამინდობამ შეიძლება გააძნელოს მოსავლის აღება, გამოიწვიოს დანაკარგები. ვითარება მოითხოვს ძალების მობილიზაციას, რთველის, უყრძნის გადაზიდვისა და გადამუშავების ყველა მონაწილის შეთანხმებულ მუშაობას. ახლა მთავარია უზრუნველვყოთ ძალების სწორი განაწილება, მარჯვედ გამოვიყენოთ ტექნიკა, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები. ამ მხრივ კარგად არის დაყენებული მუშაობა თელავის რაიონში, სადაც შექმნილია რთველის მომზადება შტაბი. აქ ყოველთვის იციან, თუ რა მდგომარეობაა ზვრებში, რაციონალურად ანაწილებენ შრომითს რესურსებს, ავტოტრანსპორტს.

ყველა მეურნეობა, სადაც რთველია გაჩაღებული, ძირითადად უზრუნველყოფილია ავტოტრანსპორტით. მოსავლის გადაზიდვაში ჩაბმულია ათასობით მანქანა, მისაბმელიანი ტრაქტორი. ამისათვის უზრუნველ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა. მარტო გურჯაანის რაიონში მოქმედებს 600-მდე ავტომანქანა და მისაბმელიანი ტრაქტორი, რომლებსაც ყოველდღიურად გადაჰქონთ 5-6 ათასი ტონა ყურძენი.

ამავე დროს, თქვეს გამოსულმა ამხანაგებმა, არის შემთხვევები, როცა მთელ რიგ მეურნეობებში ყოვნდება მოსავლის აღება ავტოტრანსპორტის უკმარისობის გამო. კერძოდ, წითელწყაროს რაიონის მეურნეობებს სჭირდებათ მერთვლეთა გადასაყვანი ავტობუსები, ბოლნისის რაიონში აკლიათ ტრანსპორტი, რომლითაც ყურძენი ზვრებიდან ქარხანაში უნდა მიიტანონ. საჭიროა აგრეთვე მეურნეობათა უზრუნველყოფა სათადარიგო ნაწილებით, სალტეებით, საწვავით, ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს საამისოდ, რომ მოსავლის ახალები კონვეიერი შეუფერხებლად მუშაობდეს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები დამატებითი საცავებით ღვინომასალისა და ყურძნის წვენის შესანახად. წელს რესპუბლიკის მეღვინეობის დარგი კარგად მოემზადა ხუთწლედის დამკვრელური წლის მოსავლის მიღებისა და გადამუშავებისათვის. „სამტრესტის“ ქარხნებს შეუძლიათ მარტო კახეთის რაიონებში გადაამუშაონ 365-370 ათასი ტონა ყურძენი.

ყურძნის დამზადების ვალდებულებათა უცილობელი შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიენიჭა. მასში მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები. მარტო საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოსალოდნელია 100-110 ათას ტონაზე მეტი მოსავლის მიღება.

უნდა გაჩაღდეს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, მოიწყოს სოციალისტური შეჯიბრება ხასოფლო საბჭოებს, ცალკეულ კოლმეურნეობებს, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის საკარმიდამო ნაკვეთებიდან ხახელმწიფოსთვის მაჭესიმალური რაოდენობის ყურძნის მოყიდვისთვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი. ამ მხრივ საგულისხმოა ხიღნაღის რაიონის გამოცდილება, რომლის მოსახლეობამაც ვალდებულობა იკისრა ხახელმწიფოს მიჰყიდოს 12 ათასი ტონა ყურძენი — რაიონის ვალდებულების მესამედზე მეტი.

მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზებული და ხარისხოვანი მოწყობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მოსავლის ასალები კონვეიერის ყველა რგოლში შრომისა და ხაზელმწიფო დისციპლინის განმტკიცება. თათბირზე დაასახელეს ფაქტები, რომ ცალკეულ მეურნეობებში იპარავდნენ ყურძენს.

რთველის მოწყობისათვის პასუხისმგებელი მუშაკები შეურიგებლად უნდა ეკიდებოდნენ ხალხისა და ხახელმწიფოს მოტაცების ყოველგვარ ცდას, სწრაფად რეაგირებდნენ ამგვარ ფაქტებზე და აღწევდნენ მათ ძირფესვიან აღმოფხვრას. მშრომელთა კრიტიკულ სიგნალებს ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი რაიონების აღმინისტრაციული ორგანოები და სახალხო კონტროლის ორგანოები მკაცრად უნდა აღრიცხვიდნენ ხახელმწიფო დოვლათს, უზრუნველყოფდნენ ყურძნის მოსავლის სრულ დაცვაშენახვას.

თათბირზე გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, რომ თითოეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, რაიონში — ყველგან, სადაც რთველი მიმდინარეობს, კიდევ არის მოლიანი მოსავლის გადიდების შესაძლებლობანი.

მაგალითად, გურჯაანის რაიონში იბრძვიან, რათა მიიღონ 100-110 ათასი ტონა ყურძენი, თელავისაში — 65, ყვარლისაში — 45, ხიღნაღისა და ახმეტის რაიონებში — 35-35, წითელწყაროს რაიონში — 27, საგარეჯოსაში — 26 და ლაგოდეხის რაიონში 9 ათასი ტონა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებულს. მთლიანად კახეთის რაიონებში ყველა პირობაა ხაიმისოდ, რომ დამზადდეს 340-350 ათასი ტონა ყურძენი.

თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ამ ღირსსახსოვარ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ემზადება სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავის შესახვედრად, სოციალისტურ შეჯიბრებას ჩვენი რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანეს ალიორბაში — რთველში კიდევ უფრო მეტი გაქანება მიენიჭება, უფრო ფართოდ გაჩაღდება შრომითი მეტოქეობა მევენახეებს, მძღოლებს, მედვინეებს შორის. მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებიც.

ყურძნის კრეფასთან ერთად სოფლის მშრომელებმა არ უნდა შეანელონ ბოსტნეულის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოსავლის აღების ტემპი, წარმატებით გადაწყვეტონ მეცხოველეობის განვითარების, ამ დარგის საკვებით უზრუნველყოფის საკითხები. როგორც ბაქოში გამოსვლისას თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ხვალინდელი დღისათვისაც უნდა ვიზრუნოთ — დროზე შევასრულოთ სამუშაოთა მთელი კომპლექსი მომავალი წლის მოსავლისათვის, საუკეთესო ვადებში დავთესოთ ხაშემოდგომო კულტურები, მოვხნათ მზრალი საგაზაფხულო ნათესებისათვის, მოვიმარაგოთ მაღალხარისხოვანი თესლი და ნერგები.

რესპუბლიკას ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანზე აქვს ხაიმისო წინამძღვრები, რომ წარმატებით შეასრულოთ ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის გეგმები და ვალდებულებები. ყველა პირობა გვაქვს იმისა, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ წელსაც გაიმარჯვოს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

თათბირზე ინფორმაციით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. ყიფიანი, „სამტრესტის“ მმართველი ბ. ლოლაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ჰიდრომელიორაციული სამსახურის სამმართველოს უფროსი თ. თურმანიძე, პარტიის რაიკომების პირველი მდივნები: გურჯაანისა — შ. ეცადაშვილი, საგარეჯოსი — მ. მეზგრიშვილი, ხიღნაღისა — ნ. ბუჩუკური, წითელწყაროსი — თ. გოქსაძე, თელავისა — ა. კოტაიძე, ყვარლისა — რ. ურჯუმელაშვილი, ახმეტისა — ვ. ბატიაშვილი, ლაგოდეხისა — ლ. კიბაბიძე, მარნეულისა — დ. მელარნიშვილი, ბოლნისისა — ო. ღლონტი, პარტიის გარდაბნის რაიკომის მეორე მდივანი ა. შანშიაშვილი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. თევდორაშვილი, კვების მრეწველობის მინისტრი რ. კონცელიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ბოითანაპა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. პარძელაშვილი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ.

თათბირს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ჭელიძაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

ყურძნით ივსება მარნები

„სამტრესტის“ ცნობებით, 25 სექტემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1978 წლის ბუნებ.	24 სექტემ-ბრის მიღ-ებული	სულ მოკ-რეფილია	შესრულება (პროც.)
გურჯაანის	88.000	4.226	43.018	18,2
თელავის	61.200	1.908	8.858	16,4
ყვარლის	38.000	855	10.266	16,5
ხიღნაღის	34.000	1.802	9.730	18,2
ახმეტის	30.400	264	887	16,4
წითელწყაროს	25.100	1.010	10.570	18,9
საგარეჯოს	24.100	87	546	18,4
ლაგოდეხის	8.500	40	150	16,5
მარნეულის	19.000	191	5.445	14,6
ბოლნისის	11.480	657	2.522	16,6
გარდაბნის	10.500	25	1.166	12,6
ზესტაფონის	25.000	35	100	15,2
თერჯოლის	21.000	8	80	16,0

- *24 სექტემბერს მოიკრიფა 11.108 ტონა ყურძენი.*
- *სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 93.338 ტონა.*

საკარმიდამო ნაკვეთებიდან

გურჯაანის რაიონის სოფელ ჭაშნარელმა ალექსანდრე თვალიშვილმა 12.280 კგ. ყურძენი მიჰყიდა ხახელმწიფოს, მისმა თანამოფლეგმარემ ომარ თვალიშვილმა — 7.800 კილოგრამი, გუგული ჭურღულაშვილმა — 6.640 კილოგრამი, გურჯაანელმა გივი ხულიაშვილმა — 5.200 კილოგრამი.

ოჩამჩირელ მეჩაიეთა წარმატება

საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი პ. ბარციცი გვაცნობებს:

ჩვენი რაიონის მშრომელებმა, რომლებიც იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მორიგ შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს. მათ გადამეტებით გაანაღდეს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა-ვალდებულება, ხახელმწიფოს მიჰყიდეს 30.214 ტონა ფოთოლი, რაც ნაკისრ ვალდებულებას 544 ტონით აღემატება. ეს მაჩვენებელი შარშანდელ ამავე პერიოდის დონეს 40 ტონით აღემატება. გადამეტებით არის შესრულებული ავრეთვე კვერცხის დამზადების ცხრა თვის გეგმა.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება წარმატებით გრძელდება.

გეგმა-დავალებების შესრულებაში თავი ისახელეს მეხილეებმაც. მათ საკავშირო ფონდში თესლოვანი ხილის გაგზავნის დავალება 104 პროცენტით გაანაღდეს.

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ და ხალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. თოდუამ.

გეგმეგი ვადამდე შესრულდა

ჩხოროწყუს რაიონის მეცხოველეები ხვდებიან საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავს. მათ ჯერ კიდევ 19 სექტემბრისათვის გაანაღდეს ხახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა. დამზადებულია 640 ტონა ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 633 ტონისა. ეს მაჩვენებელი შარშანდელ ამავე პერიოდის დონეს 40 ტონით აღემატება. გადამეტებით არის შესრულებული ავრეთვე კვერცხის დამზადების გეგმა. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება წარმატებით გრძელდება.

ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი 25 სექტემბერს ბაქოდან მოსკოვს დაბრუნდა. იგი მონაწილეობდა აზერბაიჯანის დედაქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ დღესასწაულობაში. მასთან ერთად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო.

ვაგზალზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, დ. ფ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები გ. ს. პავლოვი, გ. ე. ციკანოვი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები მ. ა. გოორგაძე, ხ. კ. ცვიგუნი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ა. ა. ბლატოვი, კ. მ. ბოგოლიუბოვი, ი. მ. ჩურბანოვი, გზათა მინისტრი ი. ვ. პავლოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრომელი ვ. ა. გოლოკოვი, საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრის მოადგილე ი. ლ. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი.

მგზავრობის დროს ლ. ი. ბრეჟნევს თან ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრომელი ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. მ. ფალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ე. მოგილევიჩი. (საკდესი).

სურათზე: ვაგზალში შეხვედრის დროს. საკდეს-ხაქინფორმის ტელეფოტო.

შეხვედრა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან

23 სექტემბერს ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები კ. უ. ჩერნენკო, რომლებიც ბაქოდან მოსკოვს მიემგზავრებიან, გროზნოში ჩამოვიდნენ. აქ მათ დახვდნენ სკკპ ჩინეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ვ. ვლასოვი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხ. ხ. ბოკოვი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. ქერიმოვი, სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. კ. მალბახოვი, ყაბარდო-ბალყარეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. გეტუევი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ს. კუშხოვი, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. კაბალოევი, ჩრდილოეთ ოსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. გ. ცაგარეევი, საოლქო კომიტეტების ბიუროების წევრები.

ამხანაგებმა ვლასოვმა, მალბახოვმა და კაბალოევმა ლ. ი. ბრეჟნევს მიულოცეს დიდი და ნაყოფიერი მუშაობა მოგზაურობისა და საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქში ყოფნის დროს. მათ განაცხადეს, რომ რესპუბლიკების კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა ბაქოში ამსწორნიდეს ზეიმში ლენინი ილიას ძის გამოსვლები აღიქვეს როგორც მოწოდება, რომელიც მათაც ეხება და ყოველ ღონეს იხმარენ ამ გამოსვლებში დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა გააკეთეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, როგორ სრულდება ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი. მრეწველობის მუშაკები აპირებენ არა მარტო მიაღწიონ 1978 წლის დამლევისათვის დაგეგმილ მაჩვენებლებს, არამედ გადააჭარბონ კიდეც მათ. სოფლის მეურნეობაში ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი გადაჭარბებით სრულდება. მოწეულია თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალი, გაჩაღებულია ხიბინდის, ზრესუმზირის, ყურძნისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება, წარმატებით მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება. მიღებულია მომავალი წლის მოსავლისათვის ავროტექნიკური სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულების საჭირო ღონისძიებანი.

ამხანაგმა ბრეჟნევმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ამხანაგებს გულთბილი შეხვედრისათვის და იმ კარგი ამბებისათვის, რომლებიც აცნობეს მას ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელთა მიღწევების შესახებ. მან გამოთქვა მთელი რიგი მოსაზრებანი, რომლებიც შეეხება ხაორგანიზაციო და სამეურნეო მუშაობის შემდგომ სრულყოფას, მიწების მელიორაციის პროგრამის რეალიზაციას, აგრეთვე კაპიტალურ მშენებლობაში მდგომარეობის გაუმჯობესებას. ლ. ი. ბრეჟნევმა სთხოვა პარტორგანიზაციებსა და კოლექტივების ყურადღება მიაპყრონ სიმინდის თესლის დამზადებან მნიშვნელობას. მან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს უსურვა შემდგომი წარმატებანი მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. (საკდესი).

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

№ 231 1978 წლის 25 სექტემბერი ქ. მოსკოვი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან 1978 წლის ნოემბერ-დეკემბერში იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც გაიარეს სამსახურის დადგენილი ვადა და ნებადვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დათხოვნილ იქნენ თადარიგში საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან 1978 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა გაუდით 1979 წლის 1 იანვარს.

2. თადარიგში სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით, ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნენ მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის ღონისძიებებს უსრულებდათ 18 წელი და არა აქვთ გაწვევის გადავადების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადავადების ვადა.

3. ეს ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი,
საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

საკვების დამზადებას — სწრაფი ტემპი

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში იგრძნობა ყველა სახეობის საკვების დამზადების ტემპის გარკვეული დაჩქარება. საქართველოს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სახელმწიფო მეურნეობებმა აგვისტოში დამზადეს: 210 ათასი ტონა თივა, 655,4 ათასი ტონა სენაჟი, 174,9 ათასი ტონა სხვა უხეში საკვები, 78,3 ათასი ტონა სილოსი, 16 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი, ხოლო სულ — 399,2 ათასი ტონა საკვები ერთეული.

პირველ ზონაში კარგად იმუშავეს რაიონებმა: წითელწყაროს — პირველი ადგილი, ახმეტის — მეორე და ხიღნაღის — მესამე ადგილები.

მეორე ზონაში პირველი ადგილი მიენიჭა მცხეთის რაიონს, მეორე — ლენინგორის და მესამე — თეთრი წყაროს რაიონს.

მესამე ზონაში კლასის ადგილები არ მიუნიჭებიათ რაიონებისათვის 1977 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკვების დამზადების ტემპის შენელების გამო.

ამ ზონაში უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ქალაქ ბაგრას, ხელვაჩაურისა და გულრიფშის რაიონებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულნი არ აღმოჩენილნი, წალენჯიხა და ახალქალაქის რაიონებს.

მეოთხე ზონაში გამარჯვებულნი არ აღმოჩენილან ამავე მიზეზების გამო. ამ ზონაში უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ქალაქმა ჭიათურამ, მესტიისა და ქედის რაიონებმა.

მეხუთე ზონაში, სადაც აგრეთვე გამარჯვებულნი არ აღმოჩენილან, უკეთესი მაჩვენებლები აქვთ საჩხერის, მაიაკოვსკისა და ზესტაფონის რაიონებს.

მეექვსე ზონაში ცხინვალის რაიონმა დაიკავა მეორე ადგილი. პირველი და მესამე ადგილები არ მიუნიჭებიათ იმის გამო, რომ რაიონებმა 1977 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეანელეს საკვების დამზადების ტემპი.

ამ ზონაში უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ლენინგორისა და გეგეჭკორის რაიონებს.

მეშვიდე ზონაში გამარჯვებულნი არ გამოვლინებულან. უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ქალაქ ბაგრას, ხელვაჩაურისა და გულრიფშის რაიონებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულნი არ გამოვლინებულან, კლასის ადგილები არ მიუნიჭებიათ იმის გამო, რომ რეგიონებმა საკვების დამზადების ტემპი შეანელეს 1977 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. **უკეთესი** შედეგები აქვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში საკვების დამზადების დონე მიმდინარე წლის ივლისში გაცილებით უფრო დაბალია გასული წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩნენ წალენჯიხის, ჩიხატაურის, ორჯონიკიძის, ვანის, ცაგერის, ჯვის რაიონები.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სახელმწიფო მეურნეობებს, რესპუბლიკის ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციას დაეკალათ მკვეთრად გაძლიერონ პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების მნიშვნელოვანი გაღიზიანებისათვის. (საქინფორმი).

ხაანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ორგანიზაციებში

საქმეს თუ სიტყვას ამგზავს კომუნისტი გულთან მივიტანთ

რაგორც დღეს ჩვენი პარტიული ბიუროს მდივანმა კ. გიორგაძემ და კომათის მონაწილეებმა სამართლიანად აღნიშნეს, ზედა საზანოს საშუალო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლო დაწესებულებაა რაიონში, ჩვენი სამოდელო ინტერიერი ისეთი რთული, ფართო და პასუხსაგებია, ამასთან იმდენი რამ აქვს მოსაგვარებელი, რომ სათქმელი რა გამოლეკს... რამდენიმე სიტყვა მეც მინდა ნათქვამს დავუმატო.

ვფიქრობ, ჩვენთვის მართლაც საამაყოა, რომ საზანოლი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და ხშირად სიგიერებით, დიპლომებით ხელმამშვენებულნი გიბრუნდებიან. ეს დიდი შრომის ნაყოფია და ამას ვაღწევთ სასწავლო-სააღმზრდელო საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით. შემოქმედებითი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ დღევანდელი მოსწავლის ინტერესი, ზოგადი განათლების დონე, ჰორიზონტი ნულ სხვაა ვიდრე 15-20 წლის წინათ იყო. ერთი სიტყვით, დღეს მოსწავლე მარტო პროგრამული მასალის მიწოდებით ვერ გაკვირვებ და სწავლისადმი ინტერესსაც ვერ აღუძრავ, თუ სწავლება თანამედროვე მოვლენებს არ დაუკავშირე.

და აი, სკოლას, პედაგოგებს წმიდათაწმიდა მოვალეობის შესრულებაში — ახალგაზრდა, მეცნიერული საფუძვლების დაუფლებასთან ერთად, დიდი ცხოვრებისათვის რომ მოვამზადოთ, ჩამოვუყალიბოთ მას კომუნიზმის შენებული ადამიანის მორალური სახე, ახლა უდიდეს დახმარებას ვავლენს ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა“ და „აღორძინება“, რომლებიც სკოლების მეთოდიკური სახელმძღვანელო გახდა. ამასთან მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის რეკომენდაციები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და შემდგომი პლენუმების დადგენილებებიდან ჭამომდინარეობენ, საუკეთესო პირობებს და პერსპექტივებს ქმნის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახლებურად წარმართვისათვის.

ჩვენი სკოლა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა სოფლის სკოლებს შორის, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობით. ცოცხალ ლაბორატორიად შეიძენა წარმოვიდგინოთ ჩვენი საცდელი ნაკვეთი, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას ეხმარება შრომითი ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიის არჩევაში.

საზანოლ მოსწავლეთა შრომით საქმიანობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობაში წელს მათ გამოიმუშავეს 40 ათასი მანეთის პროდუქცია და ხელფასის სახით 7 ათასი მანეთი მიიღეს. ჩვენ ახლა დიდ რთველსაც ველოდებით, საცდელი ნაკვეთიდან სულ ცოტა 12 ტონა ყურძენს ჩავაბარებთ საზოგადოებრივ მარანს. ამის თქმაც მოამყარა, რომ თერმეტმეტა კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძო პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ხოლო შვიდი ყველაზე უკეთ მომზადებული ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდა.

ამ საგულისხმო ფაქტებზე რომ ვლაპარაკობ, არ შემიძლია ქვემით არ მოვიხსენო თვითონ საქმის პატრიოტები, პედაგოგები ვ. გიორგაძე, თ. რობაქიძე, ბ. კირკიტაძე, გ. გიორგაძე, ნ. ზარნაძე, ქ. სამანიშვილი და სკოლის დირექტორი ა. ჯაფარიძე, იქნებ ვინმემ თქვას, რომ - ამ გვარების ჩამოთვლა აუცილებელი არ იყო საანგარიშო კრებაზეო. მე კი პირიქით მგონია. აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ სახალხო მეურნეობის ნებისმიერი განებავთ დარგის მუშაკებს ხშირად ახსენებენ შეკრებებზე, თათბირზე, ხოლო ზოგჯერ ავიწყებენ, რომ საჭიროა მასწავლებელთა მორალური წახალისებაც.

ცხადია, კომუნისტებს არ შეშვენით მხოლოდ მიღწეულის შესახებ ლაპარაკი, ამიტომ ამ საკითხებსაც შევეხები, რომელთა გაკეთება ან ვერ შევძელით, ან კიდევ დღევანდელობამ ახლა დააყენა დღის წესრიგში და აუცილებლად მოსაგვარებელია. აი თუნდაც რა: ყველა ვხედავთ, რომ წიგნის მაღაზიებში ცოტა როდი მდარე ლიტერატურაც, მოსწავლეთა სახელმძღვანელოები კი... სამწუხაროდ ყველა ბავშვს როდი ერგება ხოლმე. ცხადია, დღეს ისე ადარ გვიჭირს ერთი წიგნით რამდენიმე მოსწავლე რომ მეცადინეობდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სკოლას კარგი კაბინეტ-ლაბორატორიები აქვს, მაგრამ ძალზე საჭირო. — პროფორიენტაციის კაბინეტი კი არ გაჩენია. საამისოდ ყველა საშუალება გვაქვს, ეს ყველა ჩვენთაგანს საჭიროა და ამ საქმის გადადება არ შეიძლება.

სადაო არ არის, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სოფლის ინტელიგენციის მთავარი ბირთვია. თუ ამ პოზიციიდან ვიმსჯელებთ, დღესდღეობით ბევრი რამ არ გვაკმაყოფილებს. აი, ესთეტიკური აღზრდის ძირითადი კერა — სასოფლო კლუბი ავიღოთ. სიძველის გამო დანგრეული პირას მისული შენობა დ. კლდიაშვილის შემოდგომის აზნაურების სახლ-კარს მოგვაგონებს. ეს არ შეეფერება ჩვენს მოწინავე სოფელს და ამაზე სწორად კომუნისტებმა უნდა ვიზრუნონთ.

კიდევ ერთი საკითხი. თერჯოლის რაიონში არ არის საბითუმო მაღაზია, სადაც შესაძლებელი იქნება სათბობის, მოსწავლეთა ფორმების და სხვა აუცილებელი მოთხოვნილების საგნების შეძენა. ამისათვის მეზობელ ზესტაფონს რაიონში გვიხდება სიარული. ბუნებრივია, ეს ერთგვარ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს, რომ ჩვენი რაიონის ცენტრში მაინც გაიხსნას ასეთი მაღაზია.

მგონი სიტყვა გამიჭიანურდა... ვფიქრობ, რაც ვთქვი, ისიც საკმარისია, ახლა მთავარი ეს შენიშვნები გულთან მიიტანონ მათ, ვისაც ეხება.

ც. ბრეგვაძე,

თერჯოლის რაიონის ზედა საზანოს საშუალო სკოლის მასწავლებელი.

სამთოელთა ახალი თაოსნობა

ტყიბული. (საკ. კორ.). „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლეულს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება“ — ამ დევიზით აქ მეხუთედ მოეწყო ახალგაზრდა სამთოელთა ორდღიანი რესპუბლიკური შეკრება. ქალაქის საზოგადოებრიობა ამჯერად ტყვარჩელის, ჭიათურის, ახალციხის, თბილისის, კვაისის, მაინუულის და რუსთავის ახალგაზრდა ნოვატორებს მასპინძლობდა, იმათ, ვინც თავი გამოიჩინა სოციალისტური შეჯიბრებით ნაისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებაში.

შეკრების მონაწილეები პირველ დღეს შეხვდნენ შრომითს ოლექტივებს, გაეცნენ მეშახტეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების საქმიანობას, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. მეორე ოლეს მეშახტეთა კულტურის სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. შავიშვილმა. საპატიო სტუმრებს მიესალმა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ორჯონიკიძე.

სხდომის პროცესში იშვა შესანიშნავი თაოსნობა. ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს მებაგის ა. ციცქიშვილის წინადადებით ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავამდე დარჩენილი დღეები დამკვრელურად გამოცხადდა. ამაღლებებელი იყო ოცამდე ახალგაზრდის მეშახტიდ კურთხევის ცერემონიალი. მათ შახტის გზა დაულოცეს, თვითანთი ელნათურები და მეშახტის ქუდები გადასცეს შრომის ვეტერანებმა. მეშახტეთა სახელოვანი დინასტიის საუკეთესო წარმომადგენლებმა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. კადენციმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სგელები და ოსანი საჩუქრები გადასცა ახალგაზრდა მეშათა დიდ ჯგუფს. ახალგაზრდობასთან პოლიტ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის სპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ფხაკაძე, კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ქ. შავიშვილი, ნოვატორი მეშახტე-დამრიგებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. სვანიძე და ლენინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ქორიაშვილი.

შეკრებაზე მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდა სამთოელისადმი. მასში გვოთქმულია რწმენა, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდა სამთოელები ღირსეულად გაგრძელებენ უფროსი თაობის სახელოვან შრომითს ტრადიციებს, საბჭოთა კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის გეგმის გადამტანებთ ამოიღებენ 40 ათას ტონა ქვანახშირს და 45 ათას ტონა მანგანუმს.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი და ახალგაზრდული საღამო.

ვ. ციცეკიძე.

თათბიროგენ კავშირგაბმულობის მინისტრები

25 სექტემბერს თბილისში გაიხსნა ელექტრული და საფოსტო კავშირგაბმულობის დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა კავშირგაბმულობის მინისტრების თათბირის XI სესია.

სესია გახსნა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრმა ნ. ვ. ტალიზინმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზიანი.

სესიის საზეიმო გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე.

ელექტრული და საფოსტო კავშირგაბმულობის დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაცია უდიდეს როლს ასრულებს ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ელექტრული და საფოსტო კავშირგაბმულობის განვითარებასა და სრულყოფაში. ეგი ხელს უწყობს თანამედროვე ტექნიკის დანერგვას, კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლოატაციის გაუმჯობესებას. არსებობის ოცი წლის მანძილზე ამ ორგანიზაციამ დაამტკიცა თავისი სტრუქტურისა და საქმიანობის ეფექტიანობა.

თათბირის წინა X სესიამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების კავშირგაბმულობის ადმინისტრაციათა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანი დასახა. X და XI სესიებს შორის ორგანიზაციის საქმიანობის საკოორდინაციო ფუნქციებს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო ასრულებდა. ამ პერიოდში გამართულმა ექსპერტთა თათბირებმა განიხილეს ტექნიკური და საექსპლოატაციო საკითხები, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის დარგში თანამშრომლობის გეგმაში შემავალი თემები.

ახლანდელი სესია განიხილავს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

სესია 2 ოქტომბრამდე გასტანს.

(სატინფორმი).

„პარტიული სიტყვა“ № 18

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეთვრამეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით „სრულად გამოვიყენოთ პოლიტიკური აგიტაციის დიდი ძალა, ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა“.

ანშლაგით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულია ნ. ტაბატაძის — „ყველა რომ ზრუნავდეს...

განყოფილებაში „მასალები სიტყვიერი გამოსვლისათვის“ დაბეჭდილია წერილები: მ. ჭიჭეიშვილისა — ჩვენი ეპოქის მანიფესტი; ვ. ვორობეიჩიკისა — სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ეტაპი; ფ. მახარაძისა — კომუნიზმისათვის მამაცი მებრძოლი.

რუბრიკით „ავამაღლოთ პოლიტიკური აგიტაციის როლი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“ გამოქვეყნებულია ბ. გულუას — პოლიტიკური მოშსენებლები — მასების შუაგულში.

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა

მეცხოველეობის აღმავლობა უშუალოდ არის დამოკიდებული მტაცეცე საკვები ბაზის შექმნაზე. ეს პრობლემა განაპირობებს იმას, რომ წინა პლანზე დავაყენოთ საკვების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა და ამ საფუძველზე შევქმნათ საკვებწარმოების ინდუსტრიული დარგი. ასეთი მოთხოვნები წაუყენეს ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის დარგის მუშაკებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე და შემდგომმა პლენუმებმა. წლეულს ივლისში კი დიდი სამოქმედო ღონისძიებები დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთორმეტე პლენუმმა.

— როცა ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს განვიხილავდით, — გვითხრა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარიხაშვილმა, — წინასწარ შევისწავლეთ რაიონის მეურნეობებში არსებული შესაძლებლობები, რეზერვები, გავანალიზეთ გაწეული მუშაობა და ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების ღონისძიებები დავსახეთ. და დღეს, მუშაობის შედეგები უფიგო ოროდა.

ჩვენ გავეცანით მცხეთის რაიონში საკვების დამზადების მიმდინარეობას. ჯერ კიდევ შარშან მცხეთელებმა საკვების დამზადებაში ისახელეს თავი და მოიპოვეს რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა. წლეულს კი ზაფხულში შეჯიბრებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით მეორე ზონაში პირველი ადგილი დაიკავეს.

როგორია წლეულს მუშაობის შედეგები? მცხეთელებმა უკვე დაამზადეს 24.206 ტონაზე მეტი უხეში საკვები. ეს სახელმწიფო გეგმის 115,2 პროცენტს შეადგენს. მაგრამ მათ ხომ ნაკისრი ვალდებულებით კიდევ უნდა დამზადონ 4.000 ტონა საკვები? დიახ, ამ ვალდებულებასაც კანონის ძალა მისცეს და მოკლე ხანში შეასრულებენ პირობას. უხეშ საკვებში ძირითადია თივა. ეს საკვები კი 2.872 ტონის ნაცვლად დაამზადეს 3.556 ტონა, 12.500 ტონის ნაცვლად დამზადებულია 17 ათას ტონაზე მეტი სენაჟი; დამზადდა 256 ტონა ბალახის ფეხვნილი ნაცვლად 250 ტონისა, სილოსის ჩადება კი ახლა გაჩაღდა.

ამ სასიხარულო მაჩვენებლების მოპოვებაში ღირსეული ნეს ტრაქტორისტებმა თ. გასანოვმა, ბ. დიაკონიშვილმა და ყ. გასანოვმა. ახლა კი ყოველდღიურად ფერმებში გადაიქვეთ რვაათი ტონა მწვანე მასა. მეურნეობაში დიდი გადაჭარბებით შესრულდა თივის, ნამჯის და, საერთოდ, უხეშ საკვების დამზადების გეგმები. ნამჯის აღება დაწყნეხვასა და გაზდვაზე თავი ისახელეს ი. ანდრიაშვილმა, გ. მეზვერიშვილმა, დ. საზანდარეშვილმა, ს. ბოსტონაშვილმა, გ. აღსაბაძემ, ო. ლაბაურმა და სხვებმა. საკვების დამზადებაში გადამწყვეტი სტატუა თქვა საკვებმომპოვებელმა ბრიგადამ, რომელსაც დ. ქურთაძე ხელმძღვანელობს.

— ჩვენს მეურნეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ბალახოვანი კულტურების ფართობის გაფართოებას, — ამბობს ბ. ბოსტანეიშვილი, — ეს ფართობი 1.034 ტონა ოხეში საკვების ნაცვლად დამზადებულია 2.650 ტონა, დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხეხილის ფართობის ხელოვნურად მორწყვა. ბალახოვანი კულტურებიდან ბალბალა ... ...

საქართველოს ხმოვანება

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმესი იტყობინება

ოპტიმისტური პერსპექტივები

საზღვარგარეთის პრესა ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთები წარმოთქმული სიტყვის შესახებ

ინგლისი

როგორც ინგლისური გაზეთების მოსკოველ კორესპონდენტთა ცნობებშია ნათქვამი, ვაშინგტონის კრიტიკასთან ერთად ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ, მაგალითად, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთმისაღები შეთანხმების შემუშავების ხაკითხში, დისტანცია, რომელიც მხარეების პოზიციებს ჰყოფს, არც ისე დიდია. ლონდონის „ფაინენშლ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ მთლიანად ლ. ი. ბრეჟნევის შენიშვნები ხაბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ „ოპტიმისტურად გაისმა“.

იაპონია

იაპონიის „მაინიტი“ წერს: ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა მნიშვნელოვანი ხიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ ახლა სხვაობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეიძლება დაძლეულ იქნეს კეთილი ნებისა და სახელმწიფოებრივი სიბრძნის მეოხებით.

შვეიცარია

შვეიცარმა რადიომ ხაზი გაუსვა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ხიტყვა პარეული მაღალავტორიტეტიანი საბჭოთა შეფასებაა კემპ-დევიდში დადებული შეთანხმებებისა. ეს ეს შეფასება მოცემულ იქნა იმ დროს, როცა არაბულ სამყაროში გარიგების მოწინააღმდეგენი კვლავ ახლავენ დამასკოში არაბთა კონტროლინასძიებებს ამ შეთანხმებათა წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთი

არაბული ქვეყნების გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლ. ი. ბრეჟნევის ხიტყვის ის ნაწილი, რომელშიც დაწერილებითაა გადმოცემული ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა. ხათაურით „ლ. ი. ბრეჟნევმა დაგმო კემპ-დევიდის შეთანხმება“ ეწოდა „ბაღდად ობსერვერმა“ გამოაქვეყნა კომენტარი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ჯ. კარტერის, სადათისა და ბეგინის გარიგება არის იმის ცდა გათიშონ არაბთა რიგები და თითოეული არაბული ქვეყანის ცალ-ცალკე თავს მოახვიონ „მოწესრიგების“ პირობები, რომლებიც აგრესორისთვისაა ხელსაყრელი.

ლიბანის გაზეთი „ან-ნიდა“ წერს: „ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან აშკარად ჩანს, რომ ხიტყვაცა ახლო აღმოსავლეთში კვლავ რთულია და პოტენციურად საშიშია როგორც ამ რეგიონის ქვეყნებისათვის, ისე მთლიანად ხაერთაშორისო ვითარებისთვისაც. ამის მიზეზია ის, რომ ისრაელი და ის ძალები, რომლებსაც იგი ყურნონობა, ჯიუტად უარს ამბობენ ანგარიში გაუწიონ არაბ ხალხთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ამის მიზეზია ისრაელის მისწრაფება იარაღითა თუ დიპლომატიური გზით, მაგრამ ყოველნაირ შემთხვევაში ძალის პოზიციით, თავს მოახვიოს არაბებს თავისი ნება“.

ტუნისი

ტუნისის დეპეშათა სააგენტო ეუწყება: „საბჭოთა კავშირმა კვლავ ჩამოაყალიბა თავისი თანამიმდევრული პოზიცია ახლო აღმოსავლეთის კრიზისის სამართლიანი და მტკიცე მოწესრიგების საკითხზე“.

ინდოეთი

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის ხაყოველთაო საქმეში, — განაცხადა სრულიად ინდოეთის მშვიდობისა და სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პირინ რომეშ ჩანერამ. ეს სიტყვა შეიცავს საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა, რეალისტურ ანალიზს, მნიშვნელოვანი მსოფლიო პრობლემების კონსტრუქციულ შეფასებას. საბჭოთა კავშირის პოზიცია, რომელიც ხაბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვაშია ჩამოყალიბებული, ქვეყნად მშვიდობის საიმედო გარანტიაა. (საკადესი).

ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობისათვის

ნიუ-იორკი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების ხაქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები დიდ ინტერესს ავლენენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისადმი. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ ურთიერთობის გაფართოება შეეხსაბამება ორი ქვეყნის ურთიერთობის საერთო ნორმალიზაციის ინტერესებსა და დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცებას.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს პრეზიდენტი მ. ფორესტოლი ამ ორგანიზაციის ჟურნალის ფურცლებზე წერს, რომ საქმიანი ურთიერთობის ნორმალიზაცია შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარებისა და ორი ქვეყნის თანამშრომლობის ინტერესებს.

ამერიკის საქმიანი სამყარო, აღნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე უ. ვერიტი, დინტერესებულია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ხელის შემშლელი ფაქტორების თავიდან აცილებით ჩვენი ხახელმწიფოების ეკონომიკურ ურთიერთობის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მთელი კომპლექსის განვითარებისათვის.

შეერთებულმა შტატებმა უფრო აქტიურად უნდა განავითაროს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან, თქვა რ. შოიერმა, კიცე პრეზიდენტმა უდიდესი საფეიქრო ფირმისა „ინტერტექს ინტერნეიშნლი“, რომელმაც 1958 წლიდან მოყოლებული საბჭოთა სავაჭრო საავაჭრო ორგანიზაციებთან დაახლოებით 300 კონტაქტი დაღო.

გულითადი შეხვედრები

ბერლინი. (საკადესი). გულითადი ღიმილი და ყვავილები კოსმოსის გმირებთან ვ. თ. ბიკოვსკისა და ზ. ივინთან ბერლინელ მშრომელთა შეხვედრის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნებია.

მასობრივი მიტინგი გაიმართა ბერლინის კეპენიკის რაიონის რადიოაპარატურის ქარხანაში. საერთაშორისო კოსმოსური ფრენის ეკიპაჟს მიესალმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, თავისუფალ გერმანელთა პროფკავშირების გაერთიანების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე გ. ტიში, რომელმაც კოსმონავტებს გადასცა თავისუფალ გერმანელთა პროფკავშირების გაერთიანების უმაღლესი ჯილდო — ფ. ჰეკერტის ოქროს მედლები.

„კოსმონავგთა ხეიანი“ — ასე ეწოდება დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში მშენებარე ახალი საცხოვრებელი რაიონის „მარცანის“ ერთ-ერთ ქუჩას, სადაც ვ. თ. ბიკოვსკის და ზ. ივინის პირველი ხეები დარგეს.

ხალხის ნება

ადენი. (საკადესი). დემოკრატიული იემენის ხალხმა მტკიცედ უნდა დაიცვას პროგრეხული მონაპოვრები, რომლებიც ჩვენი მტრების ბოროტი პროპაგანდისტული თავდასხმის ობიექტი გახდა. ეს განაცხადა გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციი ეროვნული ფრონტის გენერალურმა მდივანმა ანდელ ფათახ ისმაილმა ავანგარდული პარტიის მომავალი პირველი ყრილობის დელეგატებთან შეხვედრაზე. რევოლუციური სიფხიზლის შენარჩუნება და რევოლუციის თანმიდროვე ეტაპის ამოცანების განხორციელება, აღნიშნა მან, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცე კავშირი იქნება იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ყოფილი რევოლუციურ მოძრაობას შორის.

ბეგობრულ ვითარებაში

ბერლინი. (საკადესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოთა საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა მიიღო ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ნგუენ ჰიუ თხო, რომელიც აქ იმყოფება.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, ე. ჰონეკერმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სსრ კავშირთან და სხვა მოძმე სახელმწიფოებთან ერთად აქტიურად შეუწყობს ხელს მშვიდობის განმტკიცებასა და დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებას. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მნიშვნელოვნად მიაჩნია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინადადებები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის ზონის შექმნის შესახებ, გადაჭრილ ვმობს პეკინელ ხელმძღვანელთა ხრიკებს და სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ კამპუჩიის აგრესიის აქტებს.

ნგუენ ჰიუ თხომ მიულოცა ე. ჰონეკერს საბჭოთა კოსმოსური ხომალდით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კოსმონავტის წარმატებული ფრენა.

